პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

# კომუნისტი

ს.ს.ს. ცენტრ. და თბილისის კომ. [illegible]

რედაქცია: [illegible]

მთავარი კანტორა: [illegible]

ფასი 10,000 მან.

პროვინციაში 12,000 მან.

№ 208 სამშაბათი, 12 სექტემბერი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი სამშაბათი, 12 სექტემბერი 1922 წ. № 208

## კომინტერნის აღმასკომის მოწოდება

### გერმანიის და საფრანგეთის პროლეტარიატისა და საერთაშორისო მუშათა კლასისადმი.

ამხანაგებო მუშებო და მუშა ქალებო! კომინტერნის აღმასკომი [illegible]

[illegible]

კომინტერნი ინტერნაციონალური [illegible]

[illegible]

კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი.

## იმავე საკითხზე

II*).

ამხ. ამაღლობელი წერდა აგრეთვე ისეთ მიმართულებებზე და ელემენტებზე, რომელნიც თურმე დგანან საბჭოთა წყობილების ნიადაგზე, მაგრამ ამ დღემდე ვერ ჩაბმულან ცხოვრების აღმშენებლობაში და ვერ ჩამდგარან ამ წყობილების „დამცველთა რიგებში“, რადგან არსებული ხელისუფლება არ ქმნის მათთვის თანამშრომლობის შესაფერ პირობებს.

ჩვენ ეჭვი გამოვთქვით ასეთ „მიმართულებების“ არსებობაში.

„ტრიბუნა“-ს თანამშრომელი განმარტავს: „შესაძლებელია ამხ. გ. ქ. ან მკითხველი „მიმართულებებში“ განსაზღვრულ პოლიტიკურ პარტიებს გულისხმობს. ეს შეცდომაა. ყოველი პოლიტიკური პარტია არის მიმართულება, მაგრამ ყოველი მიმართულება არ არის პოლიტიკური პარტია“ (№ 289).

ჩვენ არ გვითქვამს, რომ „მიმართულება“ უეჭველად პოლიტიკური პარტიაა. მაგრამ ყოველი მიმართულება (ლიტერატურული, ფილოსოფიური, მით უმეტეს საზოგადოებრივი და სხ.), თუნდაც ის არ იყოს ფორმალურად ჩამოყალიბებული პოლიტიკურ პარტიად, არსებითად მაინც გამოხატავს ამა თუ იმ კლასის ინტერესებს და მისწრაფებებს და თავისი იდეალებით, ხშირად მოქმედებითაც, უახლოვდება განსაზღვრულ პარტიას.

მაგალითად, რუსეთში გაჩნდნენ „სმენოვეხოველები“, „ცოცხალ ეკლესიის“ ჯგუფი და სხ., რომელთაც „მიიღეს“ ოქტომბრის რევოლიუცია და „იცნეს“ საბჭოთა ხელისუფლება. არსებითად კი ისინი ისევ დარჩნენ პროლეტარიატის კლასობრივ მტრებად. ეს ელემენტები ცდილობენ შეეგუონ ახალ პირობებს, გამოიყენონ „ლეგალური შესაძლებლობანი“ ბურჟუაზიულ გავლენის განსამტკიცებლად. „სმენოვეხოვცების“ მეთაურმა პროფ. კლიუჩნიკოვმა განაცხადა მოსკოვის „იზვესტია“-ს თანამშრომელთან საუბარში, რომ ისინი არ დაკმაყოფილდებიან ტეხნიკურ თანამშრომლების, სპეცების როლით, არამედ სურთ ჰქონდეთ ქვეყნის კულტურული მესვეურობა და ხელმძღვანელობა. ხოლო თუ რანაირია ეს მათი „კულტურა“, ნათლად სჩანს თუნდაც იმ მრავალრიცხოვან კერძო გამოცემებიდან, რომლებსაც სცემენ „საბჭოთა წყობილების ნიადაგზე დამდგარი ელემენტები“, ან მათი ახლო მონათესავენი. ამ გამოცემებში მკვდრეთით აღდგენილია ბურჟუაზიულ მსოფლმხედველობა და იდეოლოგია, რომელიც ხან ფარულად, ზოგან კი აშკარად მიმართულია მუშათა კლასის იდეალების და საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ.

ცხადია, საბჭოთა ხელისუფლება არ სთმობს თავის კლასობრივ პოზიციებს არც ერთ სფეროში, იდეოლოგიურ სფეროშიც, და ყველა მის განკარგულებაში არსებული საშუალებებით შეებრძოლება არა მარტო აშკარა მტრებს, არამედ იმ მტერ მოკეთეებსაც, რომელნიც „საბჭოთა წყობილების თანამგრძნობთა“ სახით შეიპარულან სხვა და სხვა დაწესებულებებში, გულში ატარებენ ოცნებას ძველის დაბრუნებაზე და ამა თუ იმ ფორმით ქმნიან საბჭოთა ხელისუფლების გარშემო უკმაყოფილების და მტრობის ატმოსფერას.

მეორე მხრივ, მუშურ გლეხური ხელისუფლება ცდილობს გამოიყენოს თავის მიზნებისათვის საბჭოთა წყობილებასთან გულწრფელად შერიგებული მსურველი ელემენტები, რათა მათი მიმხრობით დააჩქაროს დაწყებული რღვევის პროცესი კონტრ-რევოლიუციის ბანაკში და მიიზიდოს ისინი მუშაკებად საბჭოთა აღმშენებლობაში. სფერო ასეთი ელემენტების მონაწილეობის განსაზღვრულია: ესაა ტეხნიკური თანამშრომლობა, მათი ცოდნის და გამოცდილების გამოყენება იმ ამოცანების განსახორციელებლად, რომლებსაც ისახავს მუშების და გლეხების მთავრობა. ამასთან ეს იქნება იდეური თანამშრომლობაც, რამდენადაც ისინი იმუშავებენ არა მარტო მატერიალური დაინტერესებით, ან სპეციალობის სიყვარულის გამო, არამედ იმიტომაც, რომ აღყვავდეს საბჭოთა რესპუბლიკა და განამტკიცონ პროლეტარიატის დიქტატურა. ასეთი ელემენტებისათვის საბჭოთა ხელისუფლება ქმნის მუშაობის და არსებობის ხელსაყრელ პირობებს და ამეფებს მათ გარშემო ამხანაგური თანამშრომლობის ატმოსფერას.

ასეა არა მარტო რუსეთში, არამედ ჩვენშიაც. ჩვენი ხელისუფლება კეთილ განწყობილ დამოკიდებულებას ამყარებს ყველა იმათთან, ვისაც მართლა სურს მუშაობა არსებული წყობილების განსამტკიცებლად და დანგრეული სამეურნეო ცხოვრების ასაღორძინებლად. თუმცა უნდა ითქვას, რომ ჩვენში ლაპარაკიც კი არ შეიძლება ისეთ ფართე ხასიათის მოძრაობაზე, რომელსაც ადგილი აქვს რუსეთის ინტელიგენციაში. ჩვენ აქ მხედველობაში გვყავს ქართველი ინტელიგენციის უმთავრესად ის ნაწილი, რომელიც ძველ დროს „მაღალ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას“ ეწეოდა. ეს ინტელიგენცია დღესაც განზე დგას. იგი, მცირედის გამოკლებით, მემარჯვენე პარტიების აქტიური წევრებია და ამ პარტიების პოზიციაზე დგანან უცვლელად. თუ ისინი გაიძახიან, რომ საბჭოთა წყობილებას თანაუგრძნობენ, მხოლოდ უკმაყოფილო არიან დღევანდელ ხელისუფლების ნაციონალური პოლიტიკით, ეს მათი მხრით მანევრია და თვალთმაქცობა თავიანთი კლასობრივი ზრახვების დასაფარავად.

ამხ. ამაღლობელს არ შეუძლია ილაპარაკოს მათზე, როგორც საბჭოთა ხელისუფლების თანამგრძნობლებზე, ვინაიდან იგი უკვე დაგვეთანხმა, რომ მემარჯვენე პარტიები მუშათა კლასის კლასობრივი მტრებია და საბჭოთა წყობილების შეურიგებელი მოწინააღმდეგენი. რაც შეეხება ჩვენი ინტელიგენციის დანარჩენ ნაწილს,—სპეცებს და უბრალო მშრომელ ინტელიგენციას, ისინი უკვე ჩაბმული არიან საბჭოთა აღმშენებლობაში.

მართალია, ჯერ კიდევ მძიმეა მათი ცხოვრების მატერიალური პირობები, როგორც საერთოდ ყველა მუშა მოსამსახურის, მაგრამ მთავრობა, მიუხედავად არა ხელსაყრელ ობიექტიურ პირობებისა, ყოველ ღონეს ხმარობს მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ამგვარად, ჩვენ არ გვეგულება ისეთი ელემენტები, რომელნიც ნამდვილად თანაუგრძნობდნენ საბჭოთა წყობილებას, ხოლო არ იყვნენ ჩაბმულნი საბჭოთა სახელმწიფოებრივ, სამეურნეო და კულტურულ აღმშენებლობაში.

ვიმეორებთ, ამ ელემენტებს, ყოველ პატიოსან ინტელიგენტს და მუშაკს საბჭოთა ხელისუფლება ღირსეულად აფასებს და ქმნის მათთვის თანამშრომლობის და არსებობის შეღავათიან პირობებს, რამდენადაც ეს შესაძლებელია დღევანდელ მძიმე ობიექტიურ მდგომარეობაში.

როგორც ვთქვით, სფერო ამ მუშაობისა განსაზღვრულია.—ესაა ტეხნიკური, საქმიანი თანამშრომლობა.

ჩვენში ბევრს იმათგანს, რომელნიც წინედ „მაღალ პოლიტიკას“ და „საზოგადოებრივ მოღვაწეობას“ ეწეოდნენ, არ მოსწონთ ასეთი როლი. ისინი დაჩვეული იყვნენ ქვეყნის ბმართვას და მესვეურობას. ეხლა კი მოკლებული არიან ამის საშუალებას, და აქედანაც გამომდინარეობს მათი უკმაყოფილება.

მაგრამ მუშათა კლასს, რა თქმა უნდა, არ შეუძლია ვინმეს გაუზიაროს პოლიტიკური ძალა უფლება და არც სხვის კულტურულ ჰეგემონას შეურიგდება. მას აქვს საკუთარი იდეალები ცხოვრების ყოველ სფეროში, და ვისაც სურს დაეხმაროს მას ამ იდეალების განხორციელებაში, უნდა მოიდეს მასთან ყოველგვარი პოლიტიკური პრეტენზიების გარეშე. მუშათა კლასმა იცის ასეთი სასარგებლო და პატიოსან ელემენტების სათანადოდ დაფასება.

გ. ქ.

*) იხ. „კომუნისტი“ № 206.

## რადიო-დეპეშები

(„კავროსტა“)

### რუსეთ-იაპონიის კონფერენცია

**მოსკოვი. 10 სექტემბერი (რადიო).** 5 სექტემბერს შესდგა კონფერენციის მეორე სხდომა, რომელიც 5 საათი გაგრძელდა. ორივე მხარეებმა წარადგინეს რწმუნებულებანი. მოხდა აზრთა გაცვლა გამოცვლა მოლაპარაკების მიზნების შესახებ. აზრთა გაზიარება არ დამთავრებულა და გადატანილია შემდეგი სხდომაზე. უკვე მომხთარ სხდომებზე გამოირკვა, რომ იაპონიის დელეგაციას მოლაპარაკების მიზნად მიაჩნია სავაჭრო შეთანხმების მიღწევა და კეთილ მეზობლურ ურთიერთობათა დამყარება იაპონიასა და შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის შორის. რუსეთის შორეულ აღმოსავლეთის შესახებ საკითხების გადაწყვეტის დაირენის პროექტის ნიადაგზე. რ. ს. ფ. ს. რ. და შორ. აღმ. რესპ. აუცილებლად მიაჩნიათ შეთანხმება იაპონიასთან ყველა საკითხებში კეთილ მეზობრულ განწყობილების დასამყარებლად ორ ხალხთა შორის. გამოაშკარავებულ უთანხმოების გამო რ. ს. ფ. ს. რ. და შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის წარმომადგენლებმა შეიტანეს წინადადება სხდომების შეწყვეტის შესახებ სათანადო ინსტრუქციების მიღებამდე მოსკოვიდან და ჩიტიდან.

**იაპონიის მუშების მოთხოვნილებანი.**

**მოსკოვი. 10 სექტემბერი (რადიო).** სოციალისტური „ვეენდეიდენ-კი“ რომელიც გამოდის ტოკიოში, სწერს რომ იაპონიის მუშები მოითხოვენ ჩაურევლობას რუსეთის საქმეებში, საბჭოთა ხელისუფლების ცნობას და მთელი რუსეთის ტერიტორიის ევაკუაციას.

### ოსმალეთ საბერძნეთის ომი

#### ფრონტზე

**ბორდო. 9 სექტემბერი.** ოსმალეთის ცხენოსანმა ჯარმა მიაღწია ეგეოსის ზღვას. საბერძნეთის ჩრდილოეთის არმია, რომელსაც უნდა გაეწია დახმარება სამხრეთის არმიისათვის გარშემორტყმული იქნა უშაკის რაიონში.

**ბორდო. 9 სექტემბერი.** ოსმალეთის ჯარები მიადგენ მანისის მიდამოებს და მთლიანად დაიკავეს პანდერმა-მანისის რკინის გზის ხაზი.

**ბორდო. 9 სექტემბერი.** საბერძნეთის არმიის მდგომარეობა კრიტიკულია. ოსმალეთის ჯარების ავანგარდი იმყოფება სმირნიდან 40 კილომეტრის მანძილზე.

#### საბერძნეთში

**ბორდო. 9 სექტემბერი.** საბერძნეთის კაბინეტი გადადგა. მეფის მემკვიდრე პრინცი სასწრაფოდ იქნა გამოწვეული ბუქარესტიდან ათინაში.

**ბორდო. 9 სექტემბერი.** მოკავშირეთა წარმომადგენლებმა ათინაში მიმართეს გარეშე საქმეთა მინისტრს და მიაქციეს მისი ყურადღება იმ ექსცესებზე, რომელიც გამოწვეულია საფრანგეთის ჯარების მიერ მცირე აზიაში.

**ბორდო. 9 სექტემბერი.** მცირე აზიაში მომხდარმა ამბებმა დიდი აღშფოთება გამოიწვია საფრანგეთის ხალხში. განსაკუთრებით უკმაყოფილონი არიან ყოფილ გენერალის იმუსის ვასიანესის წინააღმდეგ, რომელსაც ბრალს სდებენ ფრონტის გახსნაში და იმ ავანტიურაში, რომელიც დაკავშირებულია კონსტანტინოპოლზე ფრაკიის საშუალებით შეტევასთან. ფიქრობენ, რომ ვასიანესის გარდა პასუხისმგებელია მთელი საბერძნეთის მთავრობაც.

#### ოსმალეთში

**ბორდო. 9 სექტემბერი.** მუსტაფა-ქემალ ფაშამ გასცა ბრძანება ჯარებისადმი, რომელშიაც ის იძლევა გაფრთხილებას, რომ ნაციონალურ უმცირესობისადმი ცუდ მოპყრობაში შემჩნეული პირები სიკვდილით იქნებიან დასჯილნი.

#### ანტანტის პოზიცია

**ბორდო. 9 სექტემბერი.** კონსტანტინოპოლიდან იტყობინებიან, რომ მოკავშირეებმა აცნობეს ანგორის მთავრობის წარმომადგენელს, რომ ბერძნები მზად არიან მოახდინონ მცირე აზიის ევაკუაცია იმ პირობით თუ დაუყოვნებლივ იქნება ჩამოგდებული დროებითი ზავი.

**რომი.**

**რომი. 9 სექტემბერი.** ინგლისის მთავრობამ გაგზავნა სმირნაში მსროლელთა როტა ინგლისის ბანკის და უცხოელების დასაცავად.

**რომი. 9 სექტემბერი.** ინგლისის კაბინეტმა სასწრაფო სხდომაზე გადასწყვიტა განაგრძოს თავისი ეხლანდელი პოლიტიკა ოსმალეთ-საბერძნეთის კონფლიქტის საკითხში, ემყარება რა სევრის ხელშეკრულებას ე. ი. ერთნაირად დაიცვას კონსტანტინოპოლი და სრუტეები ბერძნებისა და ოსმალეთის ჯარებისაგან და გააძლიეროს მესოპოტამიის გარნიზონი.

**ახლო აღმოსავლეთის კონფერენციის გამო.**

**ბორდო. 9 სექტემბერი.** იტალიის პრესის ცნობით, იტალია აწარმოებს მოლაპარაკებას საფრანგეთთან და ინგლისთან ვენეციაში ახლო-აღმოსავლეთის კონფერენციაზე ოსმალეთის და საბერძნეთის წარმომადგენელთა მოწვევის შესახებ ზავის წინასწარი პირობების განსახილველად.

#### სმირნის აღება

**ანგორა 9 სექტემბერი (ტელ.).** ამ ჟამად ანგორაში მიღებულია ცნობა ოსმალეთის ჯარების მიერ სმირნის აღების შესახებ.

**მოსკოვი. 10 სექტემბერი.** ლონდონიდან 7 სექტემბრის თარიღით მიღებულ ცნობების თანახმად, საბერძნეთის ჯარების სარდლობამ გადასწყვიტა მისცეს ოსმალეთის ჯარებს უკანასკნელი ბრძოლა სმირნასთან.

ქემალისტები განაგრძობენ შეტევას სმირნის მიმართულებით, მათი ცხენოსანი ჯარები იმყოფებიან სმირნიდან 20—30 მილის მანძილზე.

— სმირნაში დიდი მღელვარებაა. საბერძნეთის უმაღლესი კომისარი გადავიდა საბერძნეთის ჯავშნიან გემზე.

მოკავშირეები იღებენ ზომებს თავის ქვეშევრდომების დასაცავად. საფრანგეთს განზრახული აქვს დაიცვას უმთავრესად კათოლიკეები. ბრიტანეთის მთავრობამ თავს იდვა ჰოლანდიის და შვეიცარიის ქვეშევრდომების დაცვა.

**სახელმწიფოების ჩარევა.**

**მოსკოვი. 10 სექტემბერი.** 7 სექტემბერს გაიმართა ბრიტანეთის კაბინეტის საგანგებო სხდომა, რომელიც მოანდომეს ახლო აღმოსავლეთის საკითხს. მოსალოდნელ სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად გადასწყდა წინადადება მიეცეს ანგორის მთავრობას შეუდგეს დროებითი ზავის პირობების განხილვას.

— მოკავშირეთა უმაღლესმა კომისრებმა კონსტანტინოპოლში მიმართეს ანგორის მთავრობას წინადადებით რათა ჩამოგდებულ იქნეს დროებითი ზავი ბერძნების ჯარების მიერ მცირე აზიის ევაკუაციის საფუძველზე.

— ბრიტანეთის კაბინეტის სხდომაზე გადასწყდა, რომ სრუტეები და კონსტანტინოპოლი საჭიროა, ყოველ შემთხვევაში დარჩეს მოკავშირეთა ხელში.

— მოკავშირეთა ელჩებმა ათინაში მიაქციეს გარეშე საქმეთა სამინისტროს ყურადღება იმ ექსცესებზე, რომელიც გამოწვეულია საბერძნეთის ჯარების მიერ მცირე აზიაში.

— აღმოსავლეთში მომხდარ ამბების გამო, ინგლისის პარლამენტი ვადაზე ადრე იქნება მოწვეული.

**სამხედრო მოქმედება.**

**მოსკოვი. 10 სექტემბერი.** საბერძნეთის სამხრეთის არმია სამი დივიზიის შემადგენლობით წაუვანილია ტყვედ.

ლონდონიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ოსმალეთის ჯარებმა იერიშები მიიტანეს ინგლისის საოკუპაციო რაზმის წინააღმდეგ მესოპოტამიაში. შემჩნეულია დიდი მღელვარება ქემალისტების გამარჯვების გამო. ინგლისის მთავრობის წრეებში ამის გამო დიდი აურ-ზაურია.

**საბერძნეთის სამხედრო ექსპერტის აზრი.**

**ბორდო. 9 სექ. (რადიო).** საბერძნეთის სამხედრო ექსპერტმა ნაკოსმა, რომელიც იმყოფება პარიზში, პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა: „საბერძნეთის ჯარების დარჩენა მცირე აზიაში, მას შემდეგ რაც მოკავშირენი მონაწილეობას არ იღებენ ოპერაციებში, იყო დიდი უაზრობა, მეფე კონსტანტინეს მთავრობა ფარავს დამარცხების ნამდვილ მიზეზებს, მაგრამ როდესაც სინამდვილე გამოაშკარავდება. ხალხი გამოარკვევს თავის დამოკიდებულებას მეფე კონსტანტინესადმი, რომელიც იძულებული იქნება უარი თქვას ტახტზე.

რაც შეეხება ვენიზელოს, მან თავისი ნებით გაშორდა პოლიტიკურ ცხოვრებას, და ბარემც იყოს მოსვენებული. როდესაც დადგება დრო, რომელიც, უნდა ითქვას მოახლოვებულია, საბერძნეთის რესპუბლიკანელები უვენიზელოსოდ მოაგვარებენ საქმეს.

## გერმანია და ანტანტა

**სტინესის შეთანხმების გამო.**

**მოსკოვი. 10 სექტემბერი** ამერიკის და ინგლისის წრეებში დიდ მნიშვნელობას აძლევენ იმ შეთანხმებას, რომელიც დადებულია სტინესთან. საფრანგეთის მთავრობამ უკვე განაცხადა თანხმობა გაუწიოს დახმარება შეთანხმების ცხოვრებაში გატარებას.

**გერმანია და ბელგია.**

**ბორდო. 9 სექტემბერი (რადიო).** „პტა პარიზიენი“-ს ცნობით, გერმანიის მთავრობა წინადადებას აძლევს ბელგიის დელეგატებს, რომ იგი გადაიხდის მესამედს, ე. ი. 90 მილ. მარკას ოქროთი ექვსი თვის შემდეგ, მეორე მესამედს ერთი წლის შემდეგ, და მესამეს—18 თვის შემდეგ. მრეწველობის ჩარევა, როგორც სჩანს, უარყოფილი იქნება.

**ბორდო. 9 სექტემბერი (რადიო)** ბელგიის დელეგატებმა სალამოს მიიღეს ფინანსთა მინისტრი გერმესი ბერგმანის და შრედერის თანხლებით, რომლებმაც, გადასცეს გერმანიას მთავრობის ოფიციალური წინადადება. ბელგიის დელეგატებმა უპასუხეს, რათა მიმართონ ბრიუსელს. გარანტიისათვის გერმანია იძლევა გერმანიის მრეწველობის კონსორციუმს.

**ბორდო. 9 სექტემბერი (რადიო).** მრეწველების ჩარევა, როგორც სჩანს, უარყოფილი იქნება. გერმანიის მთავრობა ცდილობს თვითონ აიღოს მოლაპარიკების ინიციატივა, რომელიც სტინესის ხელშია.

**შემთანხმებელნი**

**ბორდო, 9 სექტ. (რადიო).** რეიხსტაგის გარეშე საქმეთა კომისიის სხდომაზე, დამოუკიდებელ სოციალდემოკრატ ბრეიხეიმმა მარკიზ დე-ლიუბერსაკთან სტინესის ხელშეკრულების კომენტარიების დროს, მიუთითა კერძო ინიციატივის გამარჯვება, რომელიც გამოიხატა იმაში, რომ მას (კერძო ინიციატივას) შეაქვს პოლიტიკაში საშუალებები კონტრიბუციონურ ზომათა ნამდვილი განხორციელებისათვის. მან აღნიშნა სოციალისტების შეცდომა, რომელნიც დასაწყისში უნდობლობის თვალით უყურებდნენ ხელშეკრულებას.

**პრემიერების შეხვედრა.**

**ბორდო, 9 სექტ. (რადიო).** რომის პოლიტიკურ წრეებში ლაპარაკობენ შანცერის მომავალ გამგზავრებაზე პარიზში, სადაც იგი შეხვდება პუანკარეს და ინგლისის წარმომადგენელს.

# წითელ რესპუბლიკებში

## რუსეთი

**ოქტომბრის რევოლუციის ხუთი წლის თავი.**

**მოსკოვი,** 10 სექტემბერი (რადიო). სრულიად რუსეთის ც. ა. კ. პრეზიდიუმმა გამოყო კომისია ამხ. სოფრონოვის, ლიტვინოვის და სოსნოვსკის შემადგენლობით ოქტომბრის რევოლუციის ხუთი წლის თავის ზეიმობისათვის მოსამზადებლად. სრულიად რუსეთის ც. აღმ. კომიტეტი გამოსცემს კრებულს საბჭოთა აღმშენებლობის ხუთი შედეგების შესახებ. რუსეთის კომუნისტურ პარტიის ცენტრ. კომიტეტი სცემს ორ ტომს.

**კომინტერნის აღმასრულებელ კომიტეტში.**

**მოსკოვი.** 10 სექტემბ. (რადიო). 5 სექტემბერს ამხ. ზინოვიევის თავმჯდომარეობით შესდგა კომინტერნის აღმასკომის სხდომა. ამხ. ზინოვიევმა პრეზიდიუმის სახელით წინადადება შეიტანა გაფართოვებულ იქნას კომინტერნის მეოთხე კონგრესის დღიური წესრიგი შემდეგი პუნქტებით:

1) ოქტომბრის რევოლუციის ხუთი წლის თავი მსოფლიო რევოლუციის პერსპექტივში და 2) კაპიტალის შემოტევა. აღმასრულებელ კომიტეტმა მიიღო ეს წინადადება.

სხდომაზე მოსმენილ იქნა ფინლიანდიის, სამხრეთ-ამერიკის და კანადის სექციების მოხსენებები.

### ყირიმი.

**კიდევ ყირიმის სიმშილობის შესახებ.**

**სიმფეროპოლი.** სიმშილობა ყირიმში განვლილი არ არის და კვლავ ემუქრება ზამთრისათვის ყირიმის რესპუბლიკას თავისი საშიშროებით.

ყირიმის სასოფლო მეურნეობის საერთო მდგომარეობა კვლავ სერიოზულია. სიმშილის კატასტროფა, რომელიც თავს დაატყდა ყირიმს, სპობს ყოველივე საშუალებას იმისათვის, რომ შეუდგენ ყირიმის ბუნებრივ სიმდიდრის და ინტენსიური კულტურის აღდგენას, რომლის გარეშე შეუძლებელია სახალხო მეურნეობის შესაფერ დონეზე დაყენება.

სათესი მოედანი შემცირდა 70 პროცენტით ომამდე არსებულ ნორმასთან შედარებით, ხოლო უკანასკნელი წლის განმავლობაში—თითქმის სამჯერ; არსებულ 567,000 დეს. სახნავ ადგილების ნაცვლად, დათესილია მხოლოდ 198,000. შემდეგ, წარმოებულმა სანიმუშო გალეწვამ გამოიწვია ცოტაოდენი ოპტიმიზმი აკრეფილ მოსავლის რაოდენობის მიხედვით: პირველად გათვალისწინებული იყო, რომ მთელი მოსავალი ყირიმში გამოიხატება 10 მილ. ფუთით. შემდეგ, როცა დაიწყო მოსავლის აკრეფა მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატმა გაითვალისწინა საერთოდ მოსავლის რაოდენობა 7,800,000 ფუთით.

ამ ჟამად, მოსავლის აკრეფის შემდეგ უკვე გამოანგარიშებულია, რომ მოსავალი არ აღემატება 6 მილიონ ფუთს. ამ გვარად, თუ მხედველობაში მივიღებთ ყირიმის მოთხოვნილების,—12,500,000 მარცვლეულობას, ყირიმის მოთხოვნილება აღემატება მოსავალს 6,000,000 ფუთით. ესე იგი ყირიმის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საჭიროა შემოზიდულ იქნეს იმავე რაოდენობის პური, რამდენიც მოგროვილია მოსავლის აკრეფით.

გამოანგარიშებულია აგრეთვე, რომ ყირიმში არსებულ სათბობი მასალის მარაგის საერთო რიცხვი—არ აკმაყოფილებს მოთხოვნილების მესამედსაც.

აქედან უნდა გამოვიყვანოთ სამწუხარო დასკვნა: ყირიმს კვლავ მოელის სიმშილი და ცივი ზამთარი, რომელსაც შეუძლია განადგურებამდე მიიყვანოს ყირიმის მეურნეობა, თუ სათანადო დახმარება არ იქნება გაწეული თავის დროზე.

**უმუშევრობა.**

**სიმფეროპოლი.** 3 სექტემბერი. უმუშევრობა ყირიმში დღითი დღე იზრდება. უმუშევართა მდგომარეობა საშინელია; თავის თავის ანაბარა მიტოვებულებს სიმშილით სიკვდილი მოელით. უმუშევართა საერთო რიცხვი უკვე აღწევს 20.000 კ. ამ ახლო მომავალში უმუშევრობის სრული ლიკვიდაცია შეუძლებელია, რადგან პროფკავშირების მატერიალური რესურსები არ არის საკმარისი.

უმუშევრობასთან საბრძოლველად ყირიმის პროფკავშირთა საბჭომ გადასწყვიტა მოახდინოს შრომის ბირჟის ძირითადი რეორგანიზაცია, რ. ს. ფ. ს. რ. შრომის სახ. კომისარიატის კანონმდებლობის თანახმად. სერიოზული ყურადღება მიქცეულია პროფკავშირების შრომის ბირჟასთან რაც შეიძლება მჭიდროთ შეკავშირებაზე. მუშა ხელის მოთხოვნილების მიხედვით უმუშევართა განაწილების სფეროში გატარებულია ფართე კამპანია, იმ მუშების და მოსამსახურეთა დასათხოვნელად, რომელნიც შრომის ბირჟის გარეშე იქნენ სამსახურში მიღებული. დაწესებულებების დათვალიერებამ მოგვცა 500-ზე მეტი „პროტექციონისტი". ამ მხრივ პირველი ალაგი უჭირავს დამშეულთა დამხმარე ცენტრალურ კომიტეტს, სადაც აღმოჩნდა 86 შრომის ბირჟის გარეშე მიღებული პირი. ყირიმის პროფორგანიზაციებისათვის პირველ ხარისხოვანი საკითხია უმუშევართა ფრონტის გარღვევა პროფკავშირებსა და სამეურნეო ორგანოებში დარაზმულ მშრომელთა ძალ ღონით.

# კაპიტალიზმის სამეფოებში

## ინგლისი

**ტრედიუნიონების კონგრესზე.**

**მოსკოვი,** 10 სექტემბერი. [illegible]

## რუსეთი და დანია

**მოსკოვი** 16 სექტ. (რადიო). [illegible]

## ფინეთი

**მოსკოვი.** 10 სექტემბერი. [illegible]

## პოლონეთ-რუმინეთის შეთანხმება

**მოსკოვი.** 10 სექტ. (რადიო). [illegible]

## აღმოსავლეთ გალიცია

**მოსკოვი.** 10 სექტემბერი (რადიო). [illegible]

# ამიერ კავკასიის ფედერაციაში

## საქართველო

**აფხაზეთი**

**სათემო ტყეები.** [illegible] ...ალურად ტყის რაიონების თემების მიხედვით გამოყოფის აუცილებლობა. მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატს დაევალა გამოიმუშავოს პროექტი დეკრეტისა აფხაზეთის ტყეების შესახებ, წინანდელ სათემო ტყეების საკუთრების გადასინჯვით, ახალ ად-[illegible]

[illegible] წარმოებისა და მეურნეობის ლითონების გაზიდვის ნორმაზე გაავრცელოს საქართველოში არსებული დეკრეტი № 39.

**თამბაქოს ფაბრიკები**

დიდხანს სოხუმში არსებობდა მხოლოდ ერთი (სახელმწიფო) ფაბრიკა, შემდეგ დაარსდა მეორე და ამ ჟამად ეწყობა კიდევ ორი. თამბაქოს ფაბრიკის პატრონები ფიქრობენ სოხუმის ფაბრიკატებით შავი ზღვის ნაპირების დაპყრობას. სოხუმის ერთ ფაბრიკამ, რომელმაც განავითარა თავისი მოღვაწეობა ბათომის ბაზარზე მოიპოვა უპირატესობა თავისი თამბაქოთი და პაპიროსებით.

**სამურზაყანო და კოდორი.** გაზეთი „გოლოს ტრუდ აფხაზიის" თანამშ. რომელთან საუბრის დროს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლაკობამ განაცხადა, რომ სამურზაყანოს მაზრაში საბჭოთა აპარატის მოუწესრიგებლობა შეიცვალა მტკიცე ორგანიზაციამ; პარტიულ საბჭოთა ორგანოების სათავეში ამ ჟამად სდგანან ცოცხალი აქტიური ძალები. ბანდიტიზმთან ბრძოლა მაზრაში წარმატებით დამთავრდა და ორგანიზაციების შეკავშირებისა და კარგი ადმინისტრაციის პირობებში მას აღარ შეუძლია განახლება. კარგად მოწყობილ ადმინისტრატიულ აპარატს გარდა, ყველაფერს ეჩნევა ძლიერი სამეურნეო ხელი. ამ ახლო წარსულში 1921 წლის სასურსათო გადასახადის საერთო რაოდენობიდან სამურზაყანოს მაზრას მიეცა 6—7.000 ფ. სიმინდი. ამ შედარებით მცირე კაპიტალის საშუალებით სამურზაყანოს აღმასკომმა შეასრულა რამოდენიმე კაპიტალური სამუშაო: ააგო ახალი შენობა 6 ოთახით მილიციის რეზერვისათვის, მოახდინა კაპიტალური შეკეთება ყოფილ სასამართლოს შენობის, რომელშიაც უნდა მოთავსდეს მაზრის აღმასკომი, შეაკეთა საავადმყოფოს შენობა და სხვა.

მუშაობა დაიწყო ტყის სახერხ ქარხანაში. მრავალი სოფლის გზები შეკეთებულია. სწარმოებს გზატკეცილების და ხიდეების შეკეთება. გასულ წელს სასურსათო გადასახადი აკრეფილ იქნა თითქმის სრულიად, მიმდინარე წელს მაზრაში მოსავალი კარგია და სასურსათო გადასახადი ექვს გარეშეა შემოვა 100 პროც. მაზრამ ითხოვა სასურსათო გადასახადის აკრეფის დროს შეგროვებულ იქნეს დამატებითი გადასახადი ადგილობრივ საჭიროებისათვის, პარტიულ კონფერენციას საქმიანი და ობიექტიური ხასიათი ქონდა. კომიტეტში შედიან საუკეთესო ამხანაგები. ახალგაზრდათა კომკავშირში სწარმოებს გაძლიერებული მუშაობა. უფრო სუსტად არის დაყენებული საქმე კოდორის მაზრაში. მიღებულია ზომები პარტიულ შემადგენლობის გასაჯანსაღებლად, რამაც უკვე კარგი შედეგი მოიტანა. ბანდიტიზმი მაზრაში მოსპობილია. სასურსათო გადასახადის აკრეფა გატარებულია სავსებით.

## სომხეთი

**სასურსათო სესხი.** სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატმა გამოუშვა 30,000 ფუთი სასურსათო სესხის ობლიგაციები. იჯევანის მაზრაში გაიგზავნა 1,000 ფუთის ობლიგაციები. ობლიგაციები განაწილებულია მაზრის უბნების შორის და თვითეული უბანი მოვალეა შეისყიდოს თავისი ხვედრი ობლიგაციები. 1, 3 და 5 ფუთის ობლიგაციების შესყიდვა სასწრაფოდ მიმდინარეობს, მაგრამ, სამწუხაროდ ფართო მასებმა სათანადოდ ჯერ კიდევ ვერ შეითვისეს ამ სესხის მიზანი და მნიშვნელობა, ვინაიდან საგიტაციო მუშაობა ვერ არის სათანადო დონეზე დაყენებული.

**მკვლელობა.** ამ დღეებში სოფელ ტალაში დღით მოჰკლეს კომიაჩეიკის მდივანი ბეკან ენგიბაროვი, სასოფლო კომიაჩეიკის ერთ ერთი აქტიური მუშაკი. ორი თვის უკან სოფ. კოტიგენდაში ბანდიტების ჯგუფის მიერ მოკლულ იქნენ კომიაჩეიკის 5 წევრი. ბანდიტები დღემდე ვერ შეიპყრეს.

**სიმშილის დასასრული.** იჯევანის მაზრიდან იტყობინებიან: დამაკმაყოფილებელ მოსავლის გამო სიმშილობა მთელს მაზრაში დასრულდა. მოელიან სიმინდის საუკეთესო მოსავალს, რომლის შენახვა ზოგიერთ ადგილებში უკვე დაწყებულია მუშაობა პურის გასალეწავად დამთავრებულია და ზოგიერთ რაიონებში შეუდგენ ხნას.

**ერევანი, 9 სექტემბერი. სომხეთის კომ. პარტიის ცენტრალ. კომიტეტის პლენუმი.** 8 სექტემბერს გაიხსნა სომხ. კომუნ. პარტიის ცენტრ. კომიტეტ. პლენუმი. პირველი სხდომაზე მოსმენილ იქნა სასურს. სახალხო კომისარის მოადგილის მოხსენება სასურსათო გადასახადის აკრეფის მსვლელობაზე.

**ერევნის უნივერსიტეტი.** პირველ სექტემბრიდან დღევანდლამდე ერევნის უნივერსიტეტში შემოვიდა 170 თხოვნა, რომელთა შორის 110 თხოვნა მედიკურ საბჭოოა აღმშენებლობის ფაკულტეტებზე, დანარჩენი კი სასოფლო-სამეურნეო, ტეხნოლოგიური და აღმოსავლეთის ფაკულტეტებზე. თხოვნების დიდი უმრავლესობა მაზრებიდან არის. თხოვნები შემოსულია აგრეთვე იმ პირებისაგან, რომელნიც ცხოვრობენ თბილისში, განჯაში და ბაქოში. თხოვნების მიღება გრძელდება.

**სატელეფონო კავშირი.** ერევანი და ბასარგეჩარის რაიონის შორის მოეწყო ტელეფონის კავშირი ორმოცი ვერსის მანძილზე. ცდილობენ საშუალებების გამონახვას, სხვა რაიონებთან კავშირის მოსაწყობად.

**სასურსათო გადასახადი.** იჯევანის მაზრიდან იტყობინებიან: სასურსათო გადასახადის აკრეფა მთელ მაზრაში წარმატებით მიმდინარეობს. პირველად შემოიტანეს გადასახადი ზემო აგდამის გლეხებმა. გადასახადი თანდათან შემოაქვთ აქამდე აკრეფილია 50 პროცენტზე მეტი.

**ბანდიტიზმი.** იჯევანის მაზრაში ბანდიტიზმი სრულიად მოსპობილია, მაზრის ხელისუფლების მიერ მიღებულ ენერგიულ ზომების გამო. დარჩა მხოლოდ ბანდიტების ერთი ჯგუფი, რომელიც ჯერ კიდევ დაშნაკელების დროს გამაგრდა შამშადინის რაიონში, სოფ. გოგლალში. ამ ჯგუფის წინააღმდეგ მიღებულია ზომები და შემოდგომის დასაწყისს შესაძლებელი იქნება მისი ლიკვიდაცია.

# კვირაობა

**თავის მოსაყრელ პუნქტებში.**

მიუხედავად ძლიერი წვიმისა ჯერ კიდევ ღამის 4 საათზე მოსჩანდენ ფიგურები სხვა და სხვა გზებიდან, რომლებიც მიემართებოდნენ თავის მოსაყრელ პუნქტებისაკენ. ხუთი საათის დაწყებისას თავის მოსაყრელ პუნქტებთან გაჩნდნენ ამხანაგების კარგა მოზრდილი ჯგუფები, რომლებიც მოვიდნენ თავის მოქალაქეობრივი მოვალეობის შესასრულებლად. პირველად აღნიშნულ ადგილზე გამოცხადდნენ ადგილკომებისა და იაჩეიკების წევრები, რომლებიც წინა დღით აგიტაციას ეწეოდნენ კვირაობაში მონაწილეობის მიღების შესახებ.

თუმცაღა ტრამვაის ვაგონები უნდა მოეწოდებიათ 5 საათისათვის, მაგრამ ჯერ კიდევ ხუთის ნახევარზე ვაგონები გაემართენ თავის მოსაყრელ ადგილებისაკენ და 4 საათზე და 50 წუთზე პირველი ვაგონი მუშებით და მე-4 რაიონის მოსამსახურეებით უკვე სადგურთან იყო.

**სადგურზე.**

6 საათისათვის სადგური სავსე იყო. მოგროვებულებს უშვებენ ბაქანზე. აქ კი ჩნდებიან პასუხისმგებელი ამხანაგები და კვირაობის ხელმძღვანელები.

ჩამოაყენეს მატარებელი და შვიდის ნახევარზე კვირაობის მონაწილეებით დატვირთული მატარებელი მიემართება სამუშაოს ადგილისაკენ. რამოდენიმე ხნის შემდეგ გაიგზავნა მეორე მატარებელი, ხოლო შემდეგ კიდევ მესამე; ვინაიდან პირველმა ორმა ვერ დაიტია ყველა მსურველები.

**გ ზ ა შ ი.**

გაჰქვის ორთქლმავალი, გრიალებს და ხმაურობენ ვაგონების შეზაერთებელი ჯაჭვები, ამ ხმაურობას ჩრდილავენ ვაგონებიდან მხიარული ხმები, ხოლო ზოგიერთ ვაგონებში გამართულია ხალისიანი ცეკვა-თამაში. შავი ღრუბლები მისდევენ მატარებელს, თითქმის სურთ ხელი შეუშალონ მშრომელების მუშაობას, მაგრამ ამაოდ,—აღფრთოვანება არა ცხრება; პირიქით: რაც უფრო და უფრო უახლოვდებიან სამუშაოს, ემჩნევა მეტი გაბედულობა და მხნეობა.

მატარებელი უახლოვდება სამუ-

# ევროპის ეკონომიური მდგომარეობა

მალე შესრულდება ხუთი წლისთავი ოქტომბრის გადატრიალების დღიდან. ამ მომენტიდან რუსეთის კომუნისტური პარტია ნიშანშია ამოღებული მთელი ბურჟუაზიული მსოფლიოს მხრივ. არ არის ისეთი ბოროტმოქმედება, რომელშიც მას არ სდებდნენ ბრალს. რუსეთის კომუნისტები მოძალადეებიცაა, ავაზაკებიც, უვიცებიც, დამანგრეველნიც. ყველაზე უფრო დიდი „ისტორიული" ბრალდება მათ წინააღმდეგ ეს ისაა, რომ მათ ძირიან-ფესვიანად დაანგრიეს სახალხო მეურნეობა და არ შესწევთ უნარი მისი აღორძინებისათვის. ბურჟუაზიული პრესა, დეპეშები, რადიოგრამები, მინისტრების, პარლამენტარიების, საზოგადო მოღვაწეების სიტყვები და უბრალო მოქალაქეთა ლაპარაკიც კი სავსეა ილიუზ ტრაციებით კომუნისტების დამანგრეველ მოქმედებათა შესახებ. ჩვეულებრივ უპირდაპირებენ ერთმანეთს ომამდე არსებულ და დღევანდელ მდგომარეობას. აქედან გამოყავთ დაურღვეველი ფაქტი, რომ ბოლშევიზმი ესაა ფორმა ძ ფრიად სახიფათო ფორმა ხალხის გონება დაბნელებისა.

რა თქმა უნდა, ძნელია უარყოფა, რომ იყო სიმშილი, სიცივე, ნგრევა და გაღატაკება, მაგრამ ჩვენ ყოველთვის ვამბობდით და ვამბობთ: ჩვენ კი არ შევქმენია ნგრევა და სიღატაკე და ჩვენ კი არ მივისწრაფოდით მათკენ, არამედ ეს გამოიწვია იმპერიალისტურმა ომმა, თქვენ მიერ დაწყებულმა, შემდეგ სამოქალაქო ომმა, რომელსაც თქვენ ასაზრდოებდით და ხელს უწყობდით, შემდეგ თქვენ მიერ გამოცხადებულმა ბლოკადამ და, ბოლოს, გვალვამ და სიმშილმა. არავითარ ახალ ხელისუფლებას არ მოუცია.

თვეების და წლების განმავლობაშიც კი ყველაფერი ის, რის გასაკეთებლად ის მოწოდებულია. პირიქით ყველამ უწყის „მშობიარების ტანჯვა", რომელიც თან ახლავს ახალი საზოგადოების დაბადებას ძველიდან. მიუხედავად ყველა ამ განსაკუთრებულ პირობებისა, რომელნიც მოქმედებენ ჩვენ წინააღმდეგ, ჩვენ შედარების არ გვეშინია. ევროპაში არ ყოფილა არც სამოქალაქო ომი, არც გვალვა, არც ბლოკადა, მაგრამ ის არც ისე შორს წასულა ჩვენგან ეკონომიური წარმატების მხრივ, ხოლო მომავლის პერსპექტივები ჩვენში უკეთესია, ვინემ ევროპაში. მოდი შევადაროთ. შედარებას ჩვენ დავამყარებთ ევროპის პრესიდან ამოკრეფილ ცნობებზე. ძალიან ხშირად ეს ცნობები აღებულია ევროპის პოლიტიკის პასუხისმგებელ ხელმძღვანელების სიტყვებიდან. მივმართოთ ჯერ გერმანიას.

გერმანია—ეს ის ქვეყანაა, რომელიც რუსეთის შემდეგ ყველაზე უფრო დაზარალდა ომისაგან. ის იყო მსოფლიო ისტორიაში ცნობილ ყველაზე უფრო მძლავრ კოალიციის კოლოსალურ ძალების და საშუალებათა დაჭიმვის ცენტრი. მას ყავდა მოკავშირეების სახით ისეთი პოლიტიკური გვამები, როგორც ძველი ავსტრია და ძველი ოსმალეთი. ბუნებრივია, რომ მის წინააღმდეგ თავმოყრილ თითქმის მთელი მსოფლიოს ძალამ სულ ერთიანად გამოფიტა იგი. არ არის მართალი, თითქო მას გათვალწინებული ჰქონდა ხანგრძლივი ომი და ემზადებოდა მისთვის. დაიმედებულს თავის არმიის მშვენიერი ორგანიზაციით, თავის მრეწველობის და ფინანსების მშვენიერი მდგომარეობით, მას სწრაფი შეტევით უნდოდა ომის გათავება სულ ბევრი ექვს თვეში და სრულებით არ ფიქრობდა თავის წინააღმდეგ 22 სახელმწიფოს ამხედრებას. მაგრამ მარნის ბრძოლამ გადასწყვიტა ომის ბედი და მისცა მას ხანგრძლივი ხასიათი. ამან საშინლად გამოფიტა ქვეყანა და მიიყვანა ის ჯერ ეკონომიურ და შემდეგ პოლიტიკურ კრახამდე. უკვე ომის პირველი წლის მიწურულისათვის გერმანია იძულებული იყო ქვეყნის მთელი წარმოება ომისათვის შეეფარდებია. ეს უდიდესი რეფორმაცია ძვირად დაუჯდა გერმანიას. მან გამოიწვია წარმოების საშინელი შემცირება. ამას შედეგად მოყვა წარმოების ყველა პროდუქტების ყაზარმული, ულუფებით (რაციონებით) განაწილების შემოღება, ამასთან ულუფები სულ უფრო და უფრო კლებულობდა. უფრო სწრაფად მიდიოდა ქვეყნის ცოცხალ ძალების მობილიზაცია. ომის მესამე წელს მობილიზაციაში მოხვედრილი იყო ფრონტისა, ზურგისა და სამხედრო წარმოებისათვის ქვეყნის მამაკაცთა თითქმის მთელი შემადგენლობა ვინაიდან ის შეეხო ყველა ჰასაკს 60 წლამდე. გონიერი ადამიანები უკვე მაშინ ამბობდნენ გერმანიაში, რომ რანაირიც არ უნდა იქნეს ომის შედეგი, ამ მსხვერპლის ანაზღაურება და განსაკუთრებით წარმოების აღორძინება შეუძლებელიაო. მაგრამ სამხედრო გამარჯვებით დამთვრალი მილიტარისტული კამარილია მიდიოდა „ვაბანკ", იმედოვნებდა რა უმოწყალო ხელით ამოეჭრა ყველაფერი დამარცხებულთაგან.

ომი წაგებულ იქნა ქვეყნის სრული გამოფიტვის ნიადაგზე, ამას მიუმატეთ ის გარემოება, რომ გერმანიას მოუხდა კონტრიბუციის მიცემა და არა აღება, ამასთან გამარჯვებულებმა მშვენივრად შეითვისეს ის შეუბრალებლობა, რომლის გამოჩენას ფიქრობდა გერმანია მათ მიმართ.

გერმანიამ დაკარგა ელზას-ი, ლოტარინგიმ, პოზნანი, ახალშლეზვიგი, საარის სამადნოები და მიიღო სამემკვიდრეთ კოლოსალური კონტრიბუცია, მისი რაოდენობა 1921 წლის აპრილში განსაზღვრულ იქნა „მცირე ციფრით", როგორც თქვა „გულშემატკივარმა" პუანკარემ,—132 მილიარდ ოქროს მარკით. ამ ჯამიდან 1922 წლის 1 მაისამდე გერმანიამ გადაიხადა 12 მილ. მარკა და დამატებით 2,140 მილ. გარდა ამისა, მას ჩამოართვეს საქონლის ფონდი და გემები, როზერტ ხორნის განსაზღვრით, 160 მილიონ გირვანქის ღირებულებისა, პოლონეთში დაკარგულ ქონების ღირებულებას იმავე ხორნი განსაზღვრავს 125 მილ. გირვანქით, ხოლო საარის სამადნოების ღირებულებას 25 მილ. გირვანქით. თვით ნემეცების მიმართ გერმანიამ გადაიხადა ფულით და ნატურით 38 მილიარდი ოქროს მარკა, ხოლო თუ ამას მოუმატებთ დათმობილ ტერიტორიას, პირდაპირი და არა პირდაპირი გადასახადების ღირებულებასაც, მთელი ზემოდაღნიშნული ჯამი გამოიხატება ას მილიარდ ოქროს მარკაში.

სარეპარაციო ხარჯები შეადგენენ გერმანიისათვის საერთოდ 3 მილიარდ ოქროს მარკას წლიწადში; ამ ჯამიდან 52 პროც., ე. ი. 1.560 მილ. მოდის მარტო საფრანგეთზე.

1913 წელში გერმანიის ნაციონალურ ექსპორტის ღირებულება განისაზღვრებოდა 9 მილიარდ მარკით, თუ მას დაავალებდნენ ღირებულებას ერთი მესამედი დაეთმო ვინმესთვის, და ეს შეუძლებელი იქნებოდა, როგორ შეუძლია გერმანიას ამოდენა მსხვერპლის შემდეგ, როგორც ხალხით, ისე ნივთიერით, გადაიხადოს ვერსალის ხელშეკრულებით მაზე მოხვეული ვალდებულებანი.

ომმა და ბლოკადამ საშინლად შეამცირეს, თითქმის მოსპეს გერმანიის ექსპორტი. განვიხილოთ ეს ჯერ რუსეთის მიმართ, ომამდე რუსეთის იმპორტის 45 პროც. გერმანია იძლეოდა. რუსეთი ღებულობდა გერმანიიდან საქონელს 3 ნახ. ჯერ მეტს, ვინემ ინგლისიდან, 9 ჯერ მეტს, ვინემ შეერთებულ შტატებიდან, 11 ჯერ მეტს, ვინემ მოკავშირე საფრანგეთიდან, და 22 ჯერ მეტს, ვინემ სკანდინავიიდან. გერმანიიდან შემოდიოდა: თუჯის ნაწარმოების რუსეთის იმპორტის 85 პროც., სწორ ინსტრუმენტების 80 პროც., ფოლადის, რკინის და ტყავის ნაწარმოების 75 პროც, 70 პროც. აპარატების, მანქანების ნაწილების, ლითონის ნაწარმოების და საღებავების, 45 პროც. უბრალო და 20 პროც. რთულ სასოფლო სამეურნეო მანქანების. ამ ექსპორტის აბსოლუტური ღირებულება განისაზღვრებოდა 1913 წელში 642.800 ათ. ოქროს მანეთით. 1916 წელს ეს ციფრი ეცემა—9.100.000 მან., ე. ი. გერმანიის ექსპორტი რუსეთში მცირდება 71 ჯერზე უფრო მეტად.

რუსეთში ექსპორტის შემცირებასთან პარალელურად მცირდებოდა იმპორტი რუსეთიდან. ომამდე გერმანიის მთელი იმპორტის ერთი მეშვიდედი მოდიოდა რუსეთზე. რუსეთის იმპორტი სულ ცოტად იყო ნაკლები შეერთებულ შტატების იმპორტზე, სამაგიეროდ 1 ნახ. ჯერ აღემატებოდა ინგლისის იმპორტს. რუსეთი აწვდიდა გერმანიას უკანასკნელისათვის საჭირო ქერის 85 პროც., ბრინჯის, სელის, შვრიას და ძაგარის 80 პროც., ხორბლის, ზეთის, კვერცხის, ქატოს 45 პროც., ხე-ტყის და ბეწვეულის 35 პროც., ცოცხალ ღორების 99 პროც., ფრინველის 75 პროც და ცხენების 20 პროც. რუსეთის ექსპორტი 1921 წლის განმავლობაში წონითი ოდნაობით შეადგენდა ომის წინანდელის 2,8 პროც. აბსოლუტური ციფრები რუსეთის ექსპორტის 1918 დან 1921 წლამდე უდრიდა 30 მილ. ოქროს მანეთს. თუნდაც რო დაუშვათ, რომ ამ საერთო რაოდენობიდან გერმანიაში ხვდებოდა იგივე პროცენტი, რაც ომამდე, მაშინაც გერმანიის ექსპორტი რუსეთიდან ფრიად უმნიშვნელო აღმოჩნდება,

გერმანიის შემოზიდვა გაზიდვის საერთო ციფრები უკანასკნელ დროის განმავლობაში ასეთია: წარსული წლის აპრილის თვეში შემოზიდვა გამოიხატებოდა 29 მილიონ ორმაგ ცენტრეგში—28,2 მილიარდი მარკის ღირებულებით. მაისში—38,1 ორმაგ ც. 32.400 მილიონ მარკის ღირებულებისა, ივნისში 40,3 მილ. ორმაგ ცენტ., 34,4 მილიარდის ღირებულების, გაზიდვის ციფრები, რომელნიც შეეფარდებიან ამ თვეებს წონით და ღირებულებით, შემდეგია: 21,8 ორმაგი ც., 20,9 პროც. და 18,8 ორმ ც., 22,5 მ. მ., 27,1 მ. მ. და 30,3 მილიარდ მარკის ღირებულებისა.

თუ ამას მიუმატებთ მიმდინარე წლის პირველ თვეებს, ჩვენ მივიღებთ გერმანიის შეზიდვა-გაზიდვის ფრიად სრულ და საგულისხმო სურათს 1922 წლის მთელი ნახევარი წლის განმავლობაში.

შემოზიდვა

| | | | |
|---|---|---|---|
| იანვარი | 23,1 ორ. ც. | 12,6 მ. მ. | |
| თებერვალი | 14,8 „ „ | 12,0 „ „ | |
| მარტი | 26,4 „ „ | 22,9 „ „ | |
| აპრილი | 28,9 „ „ | 28,3 „ „ | |
| მაისი | 38,1 „ „ | 32,4 „ „ | |
| ივნისი | 40,3 „ „ | 34,4 „ „ | |

გაზიდვა

| | | | |
|---|---|---|---|
| იანვარი | 20,3 ორ. ც. | 14,4 მ. | 1,8 |
| თებერვ. | 17,5 „ „ | 14,5 „ | 2.5 |
| მარტი | 21,5 „ „ | 21,2 „ | 1,7 |
| აპრილი | 21,8 „ „ | 22,5 „ | 5,4 |
| მაისი | 20,9 „ „ | 27,1 „ | 5,3 |
| ივნისი | 18,8 „ „ | 30,3 „ | 4,1 |

ცხრილი გვიჩვენებს, რომ გაზიდვა ნახევარი წლის განმავლობაში გაიზარდა უფრო მეტად, ვინემ ორჯერ (14,4-დან 30,4), მაგრამ სავაჭრო ბალანსი მაინც პასიური რჩება, და ამ პასივობას თითქო გაძლიერების ტენდენცია ეტყობა. ეს ცხადად გვიჩვენებს სახალხო მეურნეობის არანორმალურ მდგომარეობას. მრეწველობა არამც თუ არ განიცდის დეპრესიას, ის ვითარდება, ყვავდება, მაგრამ წარმოებას, რომელიც იანვარში ანაზღაურება შემოზიდვას ერთგვარი სიჭარბით, არამც თუ არ შეუძლია ეს, არამედ ფარავს შემოზიდვის სულ უფრო და უფრო მცირე რაოდენობას. რაშია საქმე? მარკის კურსის დაცემაში, კურსის დაცემის გამო ნედლი მასალის შეძენა ხდება ფაქტიურად სულ უფრო ძვირად, მაშინ როცა ფაბრიკანტების გაყიდვა ხდება შედარებით იაფად, ვინაიდან შეკვეთის დროს შეუძლებელია სისწორით იქნას გამოანგარიშებული საქონლის მომავალი ღირებულება.

სულ ერთია როგორიც არ უნდა იყოს გაზიდვის აბსოლიუტური ღირებულება, რაკი ის ვერ ანაზღაურებს შემოზიდვის ღირებულებას მაინც შევადაროთ იგი ომის წინანდელ გაზიდვის ღირებულებას. უკანასკნელი, აღემატებოდა, როგორც აღვნიშნეთ, 9 მილიარდ ოქროს მარკას. ნახევარი წლის განმავლობაში ის უდრიდა 4 ნახევა—5 მილიარდ ოქროს მარკას. ეხლა ნახევარი წლის ექსპორტი უდრის 130 მილიარდ მარკას. რო მივიღოთ უკანასკნელის კურსი 250 ჯერ ნაკლებად ომის წინანდელზე (ეხლა ის ფაქტიურად ნაკლებია 400-ჯერ), ჩვენ დავინახავთ, რომ გერმანიის ნახევარი წლის ექსპორტი, 5 მილიარდ ოქროს მარკის ნაცვლად, უდრის სულ 521 მილ. მარკას. ე. ი. ის შემცირდა თითქმის 10 ჯერ. არავითარი შესაძლებლობა არ არის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ე. ი. ბალანსის აქტიურად გადასაქცევად. გაღატაკებული გერმანია თვითონ საჭიროებს პირდაპირ ქვეყნის ფიზიკურ არსებობისათვის იმპორტის დიდძალ რაოდენობას. პურის მომავალი შესყიდვა შემოდგომაზე მოითხოვს მარტო ერთი ხორბლისათვის 500—700 მილ. ოქროს მარკას. გერმანია, რომელსაც ჩამოართვეს მსოფლიოში უმდიდრესი ქვა ნახშირის მაღაროები, გაზიდვის მაგიერად თვითონ იძულებულია შემოზიდოს ნახშირი 35—50 მილ. ოქროს მარკისა. ამის წყალობით დაეცა რკინის წარმოებაც. ფოლადის და რკინის ქვეყანამ, გერმანიამ ივნისის თვეში შემოზიდა უფრო მეტი რკინა, ვინემ გაზიდა. სამთო მრეწველობა უკვე ვერ ანაზღაურებს თავის და სახელმწიფოს უხდება თვითონ იკისროს მის შესანახად ხარჯების ნახევარი. სისულელეა, მეტი რო არ ვთქვათ, ასეთ პირობებში მოთხოვნა გერმანიიდან კონტრიბუციისა, რომელიც საჯერ აღემატება მისი ექსპორტის მთელ ღირებულებას. მაგრამ მოითხოვენ და ისე დაჟინებით, რომ პუანკარე, მიუხედავად პროტესტისა მთელი ანტანტის მხრით, მზად არის იარაღით აიძულოს გერმანია გადახადოს კონტრიბუცია, თუნდაც ამას მოჰყვეს მთელი ანტანტის დაშლა. ომით დაუძლურებული და სისხლიდან დაცლილი გერმანია მაინც იხდიდა დღემდე. თუ როგორ იხდიდა ამას გვიჩვენებს მისი მარკის კურსი. არ ჰქონდა რა შესაძლებლობა ორდინალური გზით გადაეხადა კონტრიბუცია, მან თვითონ მიმართა შინაურ კონტრიბუციას, ე. ი. ემისიას. ბანკნოტების გაძლიერებული გამოშვების გზით იგი იძენდა და იძენს ვალიუტას მოკავშირეებისათვის გადასახდელად. მაგრამ ყველამ იცის, თუ რა მახვილი და სახიფათო იარაღია ემისია. რასაც ის იძლევა ეხლა, ზედმეტათ წაგვართმევს რამოდენიმე დროის შემდეგ. მრავლდება რა არითმეტიკული პროგრესიით,

ცრთ ნაჭერში, მარა სავრცე დაახლოვებით ათას ხუთას დესეტინაზე ნაკლები არ იქნება.

წყალტუბოს რაიონი, გოდოგანი, ნაგარევი, გელათი, მოწამეთა თავის ნიადაგის შემადგენლობით (უმეტესათ ქვარნარი კირნარი თიხით) ძალიან მოგვაგონებს ართვინის რაიონს, სადაც ზეთის ხილის ბაღებია. და იქვე არ არის, რომ აქ ივარგებს ზეთის ხილის ხე და ნაყოფსაც კარგს და უხვს გამოიღებს. ქუთაისში ჩვენ არა ერთი და ორი ეზო ვიცით, სადაც ზეთის ხილი მშვენიერი ღირსების ნაყოფს იძლევა. მარა ამას ცდა უნდა და მომავლის საკითხია. ხოლო დღეს დღეობით პატრონობა უნდა იმ აუარებელ ხილეულობას, რასაც მშრომელი გლეხკაცობა თავისი საკუთარი უნარით აწარმოებს. ხილეულობა წლიურათ რამოდენიმე ასი ათასი ფუთი მოდის და ბაზარი არ არის; ამ დიდი წარმოების უმთავრესი ბაზარი ქალ. ქუთაისია. მეპატრონეებს ვერა აქვთ მოწყობილი წალების საქმე და ბაზარიც გარკვეული არ არის. თბილისი მხოლოდ იქაურ საადრიო ხილის ბაზარია და დანარჩენი საშუალო და საგვიანო სეზონის ხილეულობის მოსავალი ადგილობრივათ უნდა გასაღდეს. უნდა ნახო ოთხშაბათობით, პარასკეობით და კვირაობით, როგორ არის ავსებული ქუთაისის ბაზარი გოდრებით, ძარებით, კალათებით და სხვა ჭურჭლებით ხილით სავსე. ხილი აქ შემოაქვთ ურმებით და ზურგით.

რაღა თქმა უნდა, ქუთაისის ბაზარი ამოდენა ხილის მოსავალს, რასაც ქუთაისის მაზრა იძლევა, ვერ შთანთქავს და ამიტომ ძალიან გავრცელებულია ხილეულობის არაყათ გამოხდა. არაყი კი, როგორც ვიცით, ადამიანის ორგანიზმს სწამლავს თავისი ალკოჰოლით—ეგრეთ წოდებუ- [illegible]

# პროვინციაში

[illegible]

წევს ხალხს ყოველგვარ დახმარებას და ხელმძღვანელობას.

ადგილობრივი.

### სამტრედია

ახალგაზრდათა დღესასწაული სამი სექტემბერი სამტრედიამ ბრწყინვალეთ ჩაატარა. საზეიმო მიტინგის გახსნა მოხდა რკინის გზის კლუბის ბაღში. აუარებელი ხალხი დაესწრო, მოვიდნენ განსაკუთრებული დანიშნულების რაზმი, კომკავშირის წევრები, საყოველთაო სამხედრო სწავლების რაზმელებიც, წითელი დროშებით. მიტინგი გახსნა სამტ რაიონის კომიტეტის კომკავშირის მდივანმა ამხ. ამბ. კიქელიამ, რომელიც შეეხო სამ სექტემბრის წარმოშობას და მის მნიშვნელობას, ილაპარაკეს აგრეთვე კომკავშირის რაიონულ კომიტეტის სახელით ამხ. აკაკი ნუცუბიძემ, რკინის გზის. ახალგაზრდათა სახელით ამხ. აქვს. პაპავამ, მემარცხენე სოც. ფედ. კავშირის წევრმა ამხ. მდივანმა ორატორები აღნიშნავდნენ მუშა ახალგაზრდობის როლს და ამოცანებს დღევანდელ ცხოვრებაში და მოუწოდებდნენ მას მედგარი ბრძოლისათვის კაპიტალისტური რეჟიმის წინააღმდეგ.

ბოლოს გამოვიდა სამაზრო პარტკომის წევრი ძველი რევოლუციონერი ამხ. ვანო სტურუა. რომელმაც მხურვალედ მიულოცა კომკავშირს ბრწყინვალე დღე და უსურვა გამარჯვება ბრძოლაში და მუშაობაში. საერთოთ მიტინგმა დიდი კმაყოფილება გამოიწვია ხალხში. მიტინგი დაიხურა ნაშუადღევის 4 საათზე.

საღამოს რკინის გზის კლუბში გაიმართა უფასო ლექცია (წაიკითხა ამხ. ფარცხალაძემ თემაზე: „დასავლეთ საქართველოს როლი საქართველოს ისტორიაში") და წარმოდგენა „დამარცხებულნი" დრამა 5 მოქმ. ჰ. ირეთელისა.

ხან კანი.

### სოფ. ძევრი.

(სვირის რაიონი)

სოფ ძევრი დაშორებულია სვირის სადგურზე დაახლოვებით 8 ვერსით. ამ სოფელში წელს მოსავალს კარგი პირი უჩანს, რაც დიდ სიხარულს იწვევს ადგილობრივ გლეხებში. ხშირათ გაიგონებთ, რომ გლეხი გაიძახის იმ დენი მინდვრები დავიმუშავე, რომ ორი წლის საზრდო მომივაო. ამ სოფელში არსებობს დაბალ დაწყებითი სკოლა და ორი ვერსის მანძილზე, თემის სამმართველოსთან უმაღლეს დაწყებითი სკოლა.

წიგნსაცავ სამკითხველოს მოწყობა და აგრეთვე წარმოდგენების დადგმა აქ შეიძლება, მაგრამ ადგილობრივი ინტელიგენცია გულგრილობას იჩენს ამ საქმეში.

მ. მაჩიტაძე

## მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

### დებულება

**ს. ს. ს. რ ხახალხო განათლების კომისარიატისა.**

**ებრაელების სკოლებში ენის სწავლის შემოღების შესახებ.**

1. ვინაიდან ევროპიელ ებრაელების მშრომელ მასსის სალაპარაკო ენას შეადგენს „იდში", რ. ს. ს. ფ. რ. დეკრეტთან შეფარდებით ჩაითვალოს იგი სავალდებულოთ და შემოღებულ იქნეს ყველა ევროპიულ ებრაელების შვილისათვის „იდიშ"-ზე სწავლა.

2. „იდიშ"-ის მაგიერ სწავლა შეიძლება წარმოებდეს რუსულ ენაზე, ხოლო „იდიში" სასწავლო საგანთა შორის უნდა ჩაითვალოს, როგორც სავალდებულო საგანი.

3. სასწავლო დროის მეექვსე წლიდან ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს ნებართვით ხდება ძველ ებრაელების ენის შესწავლა ყოველ განსაკუთრებულ შემთხვევაში მხოლოდ მოზრდილთათვის.

4. ქართველ ებრაელებისათვის სწავლა უნდა სწარმოებდეს ქართულ ენაზე, შესასწავლებელ საგანთა შორის სავალდებულოთ უნდა ჩაითვალოს ძველი ებრაელური და მისი შემოღება უნდა გახდეს შესაძლებლათ.

5. ებრაელურ სკოლებში მოწაფეთა შერეულ შემადგენლობით ევროპიელ ებრაელების ბავშვებისათვის სწარმოებს „იდიშ"-ის სწავლება, და ქართველ ებრაელების ბავშვთათვისკი ძველი ებრაელურ ენის.

ს. ს. ს. რ. სახალხო განათლების კომისარი **დ. კანდელაკი.**

საქმეთა მმართველი: **ა. მიქაბერიძე.**

სარედაქციო კოლეგია


გაზეთის ტრესტის პროვინციალურ კონტრ-აგენტების

**საყურადღებოთ**

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორამ გაიგო, რომ ზოგიერთი კონტრ-აგენტები აჩერებენ 2—3 დღეს გაზეთებს, რომელიც მათი საშუალებით ეგზავნებათ პარტიულ კომიტეტებს, აღმასკომებს და სხვ. გაცნობებთ, რომ გაზეთების შეჩერება დაუშვებელია. კონტრ-აგენტი, რომელიც შემჩნეულ იქნება გაზ. დაგვიანებაში, დაუყონებლივ დაჰკარგავს წარმომადგენლობის უფლებას და მიიცემა პასუხის გებაში. (0—18)



ქ. ტფილისში

**შრომისა და ტვირთზიდვის გადასახადის გამტარებელი**

**კომისია**

ამით აცხადებს, რომ

**1) ფულით შეცვლის შეტანის უკანასკნელ ვადათ ქალაქის აღმასრულებელმა კომიტეტმა დანიშნა 15 სექტემბერი.**

2) ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის ა. წ. 31 აგვისტოს დადგენილებას § 2 **თანახმად, კომისიის კონტროლიორებს ენიჭებათ უფლება დანიშნონ ცალკე სახლებში და ბინებში ფულის შეტანას სავალდებულო ვადები 1-დან 15 სექტემბრამდე. ის პირნი, რომელნიც კონტროლიორების მიერ დანიშნულ ვადაზე არ შეიტანენ გადასახადს, დაისჯებიან** ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმის № 6 სავალდებულო დადგენილების §§ 4 და 5-ის თანახმად, და სახელდობრ: გამასწორებელ სახლში 2 თვის დაპატიმრებით ან 20.000.000 მანეთით დაჯარიმებით.

იმ სახლის პატრონების წინააღმდეგ, რომელთაც არ წარადგინეს სახლის მცხოვრებთა სია შრომისა და ტვირთზიდვის გადასახადის შესატანად, იქნება ხმარებული დაჯარიმება თვითეულ ასეთ გადამხდელზე 3 მილიონი მანეთით.

3) სახლის პატრონებს და ცალკე გადამხდელებს არ შეუძლიათ დაემყარონ უკანასკნელ ვადას (15 სექტემბრამდე), როდესაც კონტროლიორი ნიშნავს გადასახადის შეტანის სავალდებულო ვადებს 1—15 სექტემბრამდე.

4) ფულით შეცვლის გადასახადის შეტანის გასაადვილებლად, ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმის ა. წ. 31 აგვისტოს დადგენილების თანახმად, თვითეულ პირს ენიჭება უფლება შეიტანოს გადასახადი სახლის პატრონის გარეშე პირადობის მოწმობის წარდგენით, რომელზედაც დააწებებენ მარკას, ხოლო სახლის პატრონები მაინც ვალდებულნი არიან წარადგინონ ასეთი პირები გადამხდელის დოკუმენტებითურთ შესამოწმებლად სახლის წიგნის თანახმად.

შრომისა და ტვირთზიდვის გადასახადის გამტარებელი კომისიის პასუხისმგებელი მდივანი და წევრი ა. რუხაძე.

(კრ. 300—3—2)



გაზეთის ტრესტის მთავარ

**კანტორისაგან**

რათა არ იქნეს შეწყვეტილი გაზეთების გზავნა, გაზეთის ტრესტის მთავარი კანტორა სთხოვს ხელის მომწერლებს თავის დროზე იზრუნონ ხელის მოწერის განახლებაზე.

ხელის მოწერა მიიღება თბილისის ყველა გაზეთებზე ხელის მოწერის ფასი ძველია. ხელის მოწერა მიიღება რამდენიმე თვისაც ამა წლის დასასრულამდე.

**გაფრთხილება:** ხელის მომწერლებს, რომლებიც არ შემოიტანენ მომავალ თვის პირველამდე სექტემბრის ხელის მოწერის ფასს, ან არ დაფარავენ თავიანთ ვალების ვალდებულებას, გაზეთები აღარ გაეგზავნება. (0—39)



ელექტრონის, რენტგენის და სინათლის

**სამკურნალო**

ხაწოლი ოთახებით

**მიხეილ გედევანიშვილისა**

ტფილისი, ყორღანოვის ქუჩა № 20, ტელ. 7—91. (304—25—1)



**თბილისის ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის მიწათ-მოქმედების განყოფილება უკანასკნელად აცნობებს**

ყველა სახლის პატრონებს, რომ სახლების რეგისტრაციაში გასატარებლად საანკეტო ფურცლების წარმოდგენის ვადა გაგრძელებულია **20 სექტემბრამდე**, ხოლო სარეგისტრაციო ბარათების გაცემის ვადა

**ოც ოქტომბრამდე**

სახლის მფლობელობა, რომელიც არ გატარდება რეგისტრაციაში გამოცხადებული იქნება უპატრონოთ და გამოცხადდება ქალაქის საკუთრებათ. (287—3—3)



**დაკარგულია** მოწმობა ფოთის ЧОН-ის შტაბიდან მიღებული გრიგოლ კაჭარავას სახელზე. გთხოვთ გაუქმებულათ ჩასთვალოთ. (1—1)



**დავკარგე** ქუთაისის (ხონის) სემინარიის დამთავრების ატესტატი. ვაცხადებ გაუქმებულად. ირაკლი (იაკობ) დავითის ძე ჩიტაია. 1922 წ. 11 სექტემბერი. (305—1—1)



საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის

**სახალხო სასურსათო კომისარიატი**

**მიღებულია ახალი პარტიები:**

ფართლეულისა, ვენის ცნობილ ფირმის „პონარის" ფეხსაცმელისა, საგალანტერიო საქონლისა, მინისა, ემალისა და ალიუმინის ჭურჭლეულისა და ფართო მოთხოვნილების სხვა საგნებისა.

ფასები შეუცვლელია.

პროფკავშირთა წევრებს 10 პროც. ფასდაკლებით.

**უნივერსალური**

მაღაზია № 1.

სასახლის ქ. ჟირარდისეული მაღაზია.

**ყველაფერი**, რაც საჭიროა სასოფლო მეურნეობისათვის, მოიპოვება მაღა. ზიაში № 2.

პლეხანოვის ქ., სახელოსნო კლუბის პირდაპირ.

**სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები:**

გუთანი, სათესი მანქანები, სამურველი, თივის სათიბი, კულტივატორები, სეპარატორები და სხვა. სახლის სახურავი რკინეული, ფანჯრის მინები, კუნალდები, კანაფი, ინსტრუმენტები, ლურსმანი, ლომები, წერაქვი, ჩაქუჩი, გოგირდი, შაბიამანი და სასოფლო-მეურნეობისთვის საჭირო სხვა მასალები.

**სასურსათო**

მაღაზია № 3.

ვაგზლის ქ. ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამართველოს შესავალის პირდაპირ.

**საბაზრო ფასებზე იყიდება:**

ფქვილი, ხორბალი, ქვავი, ფეტვი, ქატო, ანაცერი, შეკრული თივა, ქერი.

**საკომერციო**

განყოფილება

ემანუელოვის ქუჩა № 2

**ყიდულობს:** აბრეშუმს, ფრიზონს, აბრეშუმის პარკს და სხვა სასურსათო და პირველ საჭიროების ნედლ პროდუქტებს როგორც ფულად, აგრეთვე საქონელზე გადაცვლის წესით.

**მუშათა რაიონებისთვის საქონლის მისაწოდებლად**

მოკლე ხანში გაიხსნება

**ფართლეულის მაღაზია № 4**

ვაგზლის ქ., ამიერ-კავკ. რკ. გზ. სამართველოს შესავალის პირდაპირ.

301—3—1




საქართველოს სახალხო საბჭოს ფინანსების მეურნეობის პოლიგრაფიული განყოფილების №-2 სტამბა, კრუზენშტერნის ქ. № 4.